

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ავარია თბილისში — მოზოციკლის მძღოლი დაიღუპა



რუსთავში ერთი თვის წინ გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს

„სააკაშვილს არჩევნებამდე ცინეში დააბრუნებენ!“



გვ. 2

პაატა ზაქარეიშვილი:
„თუ პრეზიდენტი
მიიღებს
გადწყვეტილებას და
გადადგება, ეს იქნება
ძალიან დიდი სკანდალი
და სწორედ ეს ნაბიჯი
გააძლიერებს
ოპოზიციონერ სალომე ზურაბიშვილს“



საქართველო, ბარსელონა, იუნივერსიტეტი

„სააკაშვილი ახლა ელოდება, რას იზამს მედია, წამოვა თუ არ წამოვა. თუ წამოვიდა, მაშინ მარტო ხაბეიშვილთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. მიშასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნომერ ხუთს და სახელს „ნაციონალური მოძრაობა.“



თაონა აქუბარდია:
„არ გავრუმდები
და არ გავჩერდები,
ვერ გავგარუმებთ
ამ ბიძკური
მეთოდებით!“

გვ. 2

„სტატუსს მოგვცავენ და ავას ამოგრივული „ოსნებას“ დაუფასებს“

ამაზ საყვარელიძე:
„საქართველო
30 წელია თავის
ადგილს ელოდება
დასავლურ
ცივილიზაციაში“



გვ. 3

აფხაზეთისა და
სხინვალის რაიონის
ევროკავშირის
ზონაში მოქცევა
შესაძლებელია?
მოდლოვაში იმედოვნებენ, რომ კვიპროსის
მაგალითს გადმოიღებენ



გვ. 4

ავგაბი აფხაზეთის ომიდან



გვ. 5


როგორ დაბობა
ქართულმა
თვითმფრინავმა
ქართული
გეოგრაფი



ოქროს ბურთი
მესის ერგო
კვარაცხელია
გე-17
ადგილზე
გავიდა

გვ. 7-8

| | | | |
|--|--|---|--|
| <p>3 კახა კალაძე: „მეც თუ მაქვს რაიმე არასწორი განხილვა გააკეთებელი, გოგონს ვიხდი ამისთვის“</p> | <p>3 პაატა მანჯგალაძე: „ოსნება“ არასწორი ხსენია, როგორც მოსკოვისკან გარბის“</p> | <p>5 მომავალი დადოვანი ათასწლოვანი ტრადიციის დარღვევას აპირებს</p> | <p>6 პაპასის 600-მდე სამეთაურო კუნძულები განადგურებულია</p> |
|--|--|---|--|





სამართალი

ავარია თბილისში — მოზოზიკლის მძღოლი დაიღუპა



ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში. ღამით მარშალ გელოვანის გამზირზე ერთმანეთს მოტოციკლი და მსუბუქი მანქანა შეჯახნენ.

არსებული ინფორმაციით, წინ მიმავალმა მანქანამ მოულოდნელად სწრაფად შეიცვალა სამოძრაო ზოლი, რა დროსაც უკნიდან მას მოტოციკლი დაეჯახა.

მოტოციკლის მძღოლი, ახალგაზრდა ბიჭი, მალხაზ გოშუა დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.



რუსთაველი ერთი თვის წინ გარდაცვლილი ქალის სხადარი იპოვეს

რუსთაველი, კლდიაშვილის ქუჩაზე, ერთი თვის წინ გარდაცვლილი ქალის ცხედარი მისსავე საცხოვრებელ სახლში იპოვეს. ინფორმაციას მედია ავრცელებს.

ცნობილია, რომ გარდაცვლილი რუსი ეროვნების საქართველოს მოქალაქე, 70 წლამდე ქალია, რომელიც საკუთარ საცხოვრებელ სახლში მარტო ცხოვრობდა.

საეხილურმა საგამოძიებო სამსახურმა სამსახურმა „ფორმულას“ თანამშრომლები

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლები პოლიციის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, 2 არასრულწლოვანი ამხილა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უნწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის 1 სექტემბერს, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი სალომე ბოკუჩავა და ოპერატორი გავა ბოჭორიშვილი თბილისში, „დელისის“ მეტროსადგურის მიმდებარედ სიუჟეტის მოსამზადებლად იმყოფებოდნენ და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ მოქალაქის დაკავების პროცესს იღებდნენ, რა დროსაც ბრალდებულმა ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლებს აგრესიული ქცევით და თავდასხმით პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს.



სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დანაშაულში მხილებულ ორივე არასრულწლოვანს ბრალდება პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის წარუდგინა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამოქმედებიდან დღემდე, ჟურნალისტი საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე 16 პირი ამხილა.

„სტატუსს მოგვსავენ და ამას „ოსნებას“ დაუფასავს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო რამაზ, ექსპერტები აცხადებენ, რომ წინასაარჩევნოდ ევროკავშირის სტატუსის მიღება ხელისუფლების პოზიციებს გააძლიერებს და „ქართული ოცნებას“ სწორედ ამით დაიწყებს თავის წინასაარჩევნო კამპანიას.

— რა თქმა უნდა, აქ ორი აზრი არ არის. ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც ასეთი შედეგი ექნებოდა, ამას გამოიყენებდა. მით უფრო, როდესაც ძალიან მალე არჩევნებია. ხელისუფლებები პიარისთვის შიდა ტრასის გაყვანას იყენებენ და ევროპაში ტრასის გაყვანას, მითხარით, რომელი პოლიტიკური ჯგუფი არ გამოიყენებს.

— თქვენ სწორად აღნიშნეთ, დეკემბრის ბოლოს უნდა იყოს ევროკავშირის გადაწყვეტილება სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, „ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიას ამ განწყობით გახსნის და ეს სრულიად ბუნებრივია.

— ამომრჩევლის პოზიცია როგორი შეიძლება იყოს, ხელისუფლებას რამდენად ჩაუთვლის დამსახურებად?

— როგორც წესი, წინასაარჩევნოდ გადაწყვეტი ფაქტორი ყოველთვის არის შიდა პოლიტიკა და არა საგარეო პოლიტიკა, მაგრამ ეს შემთხვევა სრულიად გამონაკლისია. საქართველო 30 წელია თავის ადგილს ელოდება დასავლურ ცივილიზაციაში, იმ ოჯახში, სადაც თვლის, რომ მისი ადგილი ისტორიულად არის. შესაბამისად, ევროკავშირისკენ გზის კიდევ ერთი ნაბიჯი გაკვალვას თუ წინ წაწევის ნებისმიერს დაუფასებს. ეს, ის საკითხია, რომელსაც, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს.

— როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია რაზე ააგებს წინასაარჩევნო კამპანიას?

— რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს,



ოპოზიციაც ამ საკითხზე ააგებს თავის წინასაარჩევნო კამპანიას. ორივე — ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც — იცის, რომ ეს საკითხი ხალხში მაღალი სენსიტიურობით სარგებლობს. ეს უკვე კარგად დათვლილ-გათვლილი საკითხია.

— სოციოლოგიური კვლევებით, ამომრჩევლის 90 პროცენტზე მეტი მხარს ევროკავშირს და იქ ინტეგრაციას უჭერს.

— დიახ, სწორედ ამაზე მოგახსენეთ, ეს ვიგულისხმებ. ამიტომ, ოპოზიციამ იცის, რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. იტყვიან, ჩვენი ძალისხმევით მიიღო ქვეყანამ სტატუსი, თორემ არავინ არ მოგვემდგაო. სიმართლე თუ გინდათ, არც ერთი იქნება სწორი და არც მეორე.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ევროკავშირი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს და მოგვცემს სტატუსს. რეალურად უკრაინასაც და მოლდოვასაც სტატუსი მისცა არა იმიტომ, რომ იმსახურებდნენ და ევროკავშირის სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებდნენ, მისცეს გლობალური პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით. საქართველოს შემთხვევაშიც სწორედ გლობალური პროცესები იქნება გადაწყვეტი. მთავარი ფაქტორი არის რუსეთი და პუტინის პოლიტიკა. ამიტომ მოგვეცემენ და არა იმიტომ, რომ დემოკრატიის უმაღლეს სტანდარტს ვაკმაყოფილებთ.

— ბატონო რამაზ, სტატუსის მიღების შემთხვევაში, ხელისუფლება შეძლებს პრორუსი მმართველის იმიჯის ჩამორეცხვას?

— ვერ ვიტყვით. შეძლებს კი, ძალიან მეპარება ეჭვი, რადგან ამ მიმართულებით

კახა კალაძე: „მეც თუ მაქვს რაიმე არასწორი განსხვავება გაკეთებული, გოდიხს ვიხდი აწიხს“

— ჩვენ შეიძლება სხვადასხვა დამოკიდებულება გვექონდეს გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაყენოთ ერთმანეთს შეურაცხყოფა, რაღაც ხაზები არ უნდა გადავლახოთ, — განაცხადა კახა კალაძემ, როდესაც მედიის წარმომადგენლებმა მას დღეს საქართველოს პარლამენტში კონკრეტული დეპუტატების მიერ გაკეთებული განცხადებების შეფასება სთხოვეს.

— ვფიქრობ, ნებისმიერი გონიერი ადამიანი არ მიესალმება აღნიშნულს და, სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა. ჩვენ შეიძლება გვექონდეს განსხვავებული მოსაზრებები, სხვადასხვა დამოკიდებულება საკითხებთან მიმართებაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაყენოთ ერთმანეთს შეურაცხყოფა. რაღაც ხაზები არსებობს და არ უნდა გადავლახოთ ეს ყველაფერი. მესმის, პოლიტიკა, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყველამ უნდა შევიკავოთ თავი ასეთი განცხადებების გაკეთებისგან, — განაცხადა კახა კალაძემ.

ქურნალისტი კითხვაზე, თუ რატომ იყო განსაკუთრებული აგრესია ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების მისამართით, დედაქალაქის მერმა უპასუხა, რომ დაკონკრეტება არასწორია და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმ დეპუტატების მხრიდანაც საკმაოდ ხშირია.

მისივე თქმით, მსგავსი დამოკიდებულებები არასწორია, განურჩევლად იმისა, ვინ რომელ პოლიტიკურ ბანაკში იმყოფება.

— ასე ნუ დავაკონკრეტებთ, ძალიან ბევრი შემთხვევაა იმ ქალი დეპუტატების მხრიდან განსაკუთრებული აგრესიის და არაერთი შეურაცხმყოფელი განცხადება გვინახავს მათი მხრიდან პიროვნული შეურაცხყოფების. ეს არ არის ლამაზი ფორმა და ყველამ, მეც თუ მაქვს რაიმე არასწორი განცხადება გაკეთებული, ბოდიშს ვიხდი ამისთვის და ყველა უნდა ვეცადოთ, არ ვატიკნოთ გული ერთმანეთს და არ მივაყენოთ ერთმანეთს ასეთი შეურაცხყოფები ზოგადად. იგივე თქვენი ტელევიზიის მეშვეობითაც ისეთი განცხადებები გაკეთებულია, იგივე ჩემთან მიმართებაში, როდესაც საარჩევნო კამპანია იმართებოდა, რამხელა ცილისწამებები მოდიოდა. რაც არ უნდა სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში ვიმყოფებოდეთ, მგონია, რომ არასწორია ასეთი დამოკიდებულება, — განაცხადა კახა კალაძემ.



კახა კალაძე: „ოსნება“ არასწორი სხანია, როგორც მოსკოვისკენ გარბის



„ქართული ოცნება“ არასწორ ცხენზე კი არ დებს ფსონს, თავად არის არასწორი ცხენი, რომელიც მოსკოვისკენ გარბის, — ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე საუბრობს. ოპოზიციის წევრის თქმით, ისტორიაში არასდროს მომხდარა, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტერესი ერთმანეთს დამთხვეოდა.

„ქართული ოცნება“ არასწორ ცხენზე კი არ დებს ფსონს, თავად არის არასწორი ცხენი, რომელიც მოსკოვისკენ გარბის, — ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე საუბრობს. ოპოზიციის წევრის თქმით, ისტორიაში არასდროს მომხდარა, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტერესი ერთმანეთს დამთხვეოდა.

ისტორიაში არასდროს მომხდარა, რომ საქართველოს და რუსეთის ინტერესი დამთხვეოდა ერთმანეთს. რუსეთის ინტერესი არის ჩვენი სახელმწიფოს მთავარი წყაროს — საქართველოს მოქალაქის განადგურება და რაში ვემთხვევით ერთმანეთს? — განაცხადა მანჯგალაძემ.

ყოფილია ამერიკელმა დიპლომატმა, „ატლანტიკური საბჭოს“ უფროსმა მკვლევარმა დე-

ნიელ ფრიდმა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა „ფსონს არასწორ ცხენზე დებს“ და იმის ნაცვლად, რომ მეგობრებსა და დემოკრატებს ესაუბროს, პარტიიორებთან უცხოვდება და მათ შორდება.



ხელნართული ჩხუბი გარდაბნის საკრებულოში

გარდაბნის საკრებულოში დაპირისპირება მოხდა. სიტყვიერი კამათი ხელნართულ ჩხუბში გადაიზარდა.

ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, დაშავდა პარტიის წევრი აკივ ისმაილოვი, რომელიც რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

აშშ დოლარი - 2.7048

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი - 3.2790

ევრო - 2.8603

100 რუსული რუბლი - 2.8996


ამინის პროგნოზი 1 ნოემბრისათვის

გერმანიის გიგლიოტიკა

| სოფალი | 15,29 |
|----------|-------|
| ზაგორი | 16,30 |
| ქუთაისი | 19,29 |
| ბათუმი | 16,30 |
| ბორჯომი | 8,25 |
| თბილისი | 12,24 |
| გურჯაანი | 11,22 |


ჯუდ გელინგემი საუკეთესო ახალგაზრდა ფანჯარული განცდა

ფიფას დაჯილდოების კიდევ ერთი ცერემონიალი ჩატარდა და სხვა პრიზებთან ერთად ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფანჯარულიც დააჯილდოვეს, რომელიც რეალის ნახევარმცველი ჯუდ გელინგემი გახდა. ბელგისელმა თავის თანაგუნდელებს მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ მათ გარეშე ის ვერაფერს შეძლებდა. ჯუდმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ის კიდევ უფრო მეტ ჯილდოს მოიგებს, თუმცა მისთვის გუნდური გამარჯვებები უფრო მნიშვნელოვანია.



იოვანა და დოდონა ნაშრომად ღვაჭრი იქცა

ცნობილია ბერძენმა მომღერალმა იოვანამ და ბერძული „ვოისის“ ნახევარფინალისტმა დოდონა ნაშრომად რეზო ლაღიძის „თბილისი“ დუეტში იმღერეს. მუსიკოსმა გია ბალაშვილმა დაბადების დღე საბერძნეთში გადაინახა, სადაც საპატიო სტუმრებთან ერთად იოვანაც იმყოფებოდა. მათ დუეტს მუსიკალური აკომპანიმენტი იუბილარმა გია ბალაშვილმა გაუწია.



იურგან კლოვი: „ჯარჯაროვით საზოგადოებრივი კაპოფილი ვარ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგან კლოპმა მიმდინარე სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ჯერჯერობით სეზონით კმაყოფილია და სურს მისმა გუნდმა ასე გააგრძელოს. კლოპის აზრით, ლივერპულს ინგლისის ჩემპიონატის მოგება შეუძლია: „ლივერპულმა ზედიზედ რამდენიმე ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და მიხარია, რომ პროგრესს ვხედავ. მინდა, რომ გუნდი არ მოეშვას და სეზონის ბოლომდე ასე გააგრძელოს.“

მესიმ ოქროს ბურთი მარკო ვერათი

ლიონელ მესიმ ოქროს ბურთის გამარჯვებული გახდა და მან ეს ტიტული თავის კარიერაში მე-8-ედ მოიგო, რაც აბსოლუტური რეკორდია. კრიტიკანო რონალდუს ოქროს ბურთი მხოლოდ ნჯერ აქეს მოგებული. მესიმ მზაპეს და ჰალანდს აჯობა, რომლებიც მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. მესიმ თქვა, რომ მისთვის ეს, სავარაუდოდ, ბოლო ოქროს ბურთი იყო, თუმცა ის ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს. მან მადლობა გადაუხადა თანაგუნდელებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც კარიერის განმავლობაში ეხმარებოდნენ. **მოამზადა ბექა გოგინაშვილი**



პროვულ გიგლიოტიკას უნიკალური გამოცემა გადაეცა

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას უნიკალური გამოცემა გადაეცა. პროფესორმა ზაზა ფირალიშვილმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა უნიკალური გამოცემა, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, ბიზანტიის ისტორიის მკვლევარის, შარლ დილის მიერ თავისივე სიცოცხლეში, 1910 წელს პარიზში გამოცემული „ბიზანტიის ხელოვნების ისტორია“. დღემდე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში ამ გამოცემის არც ერთი ეგზემპლარი არ ინახებოდა. ნიგინი რესტავრაციის შემდეგ იშვიათ გამოცემათა ფონდში დაიდებს ბინას. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ბატონ ზაზას საჩუქრისთვის, - ნათქვამია ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ქართული საბანკო ბრიუსელის საფოტო მუზეუმში გამოიფინა



საქართველოს მთავრობის ხელშეწყობითა და მეცნიერ ნინო სიმონიშვილის კურატორობით, ბრიუსელის სამეფო მუზეუმში უპრეცედენტო მასშტაბის გამოფენა გაიხსნა. საქართველოს კულტურისადმი მიძღვნილ ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“, ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით, გაიხსნა გამოფენა „საქართველო - შეხვედრების ადგილი“. გამოფენის კურატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი. საგამოფენო კონცეფცია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მრავალმხრივად წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა, ნეოლითის ხანიდან დაწყებული, XVIII საუკუნის ჩათვლით. გამოფენის ლიტმოტივი „საქართველო, როგორც ცივილიზაციათა შესხვედრის ადგილი“.

გამოფენა ასახავს ქართული კულტურისა და აღმოსავლურ-დასავლური ცივილიზაციების ურთიერთქმედებას, ორი განსხვავებული კულტურული ორბიტის დამახასიათებელი სოციალური ურთიერთობების, ტექნიკური მიღწევების, სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა თუ მხატვრული ენის ტრანსფორმირებასა და ადაპტაციას ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან, ქართული კულტურის მსგავსება-განსხვავებას მედიტერანული არეალის სხვა კულტურებთან, მის თვითმყოფადობასა და უნიკალურობას. ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმში საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში - ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმში, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმში, აჭარის მუზეუმში, ახალციხისა და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, ეროვნულ არქივი - დაცული 200-ამდე ექსპონატი გამოიფინა. გამოფენაზე პირველად ნარმოდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მუზეუმებში - ლუკარი, მეტროპოლიტენის მუზეუმში, ბერლინის ეროვნული ბიბლიოთეკა, ტიროლის სახელმწიფო მუზეუმში - დაცული ქართული ან საქართველოსთან დაკავშირებული 4 ექსპონატი. დამთავალიერებულს ბრიუსელის ხელოვნებისა და ისტორიის სამეფო მუზეუმში ექსპონიციის ნახვად 27 ოქტომბრიდან 18 იანვრამდე შეუძლია.


ხელის თხოვნა ლელა ნურშიას კონსერტზე



მომღერალმა ლელა ნურშიამ კონცერტი გამართა, სადაც კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნა. ხელის თხოვნა გოგონას თანხმობით დაგვირგინდა, რამაც დარბაზში მყოფი მსმენელის მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. წვეილს გაბედნიერება ლელა ნურშიამ და მისმა მეუღლემ კახა მამულაშვილმაც მიულოცეს.

ალექსანდრა ზაზარაშვილი აპერიკაში ახალ შოუ-პროგრამას წარადგინს

უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრა ზაზარაშვილი 5 ნოემბერს ახალი შოუ-პროგრამით წარადგება ამერიკელი მსმენელის წინაშე. ალექსანდრეს ახალი შოუ-პროგრამა მთლიანად მისი სიმღერებით არის დაკომპლექტებული. კონცერტზე შედგება მისი ახალი სიდის პრემიერა. **ნუცა ზაზარაშვილი, მომღერალი:** - გეპატივებით ალექსანდრა ზაზარაშვილის ახალ შოუ პროგრამაზე! სადაც იქნება მისი ახალი სიდის პრემიერა! ყველა სიმღერა ალექსანდრეს დანერგულია! ასევე წარმოდგენილი იქნება ძალიან საინტერესო ცეკვის კომპოზიციები ქართულ-ამერიკულ თემაზე. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე მსოფლიო ვარსკვლავი, რომლებიც კონცერტზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოვლენ. ნუ გამოტოვებთ 5 ნოემბერს! ადგილები შეზღუდულია!



ნუცა ბუხალაქა აპერიკის ჰიფი ენთის თამაშზე იქცა



ლივერპლისა და ფენიქსის მატჩი ქართველი მომღერლის ნუცა ბუხალაქის მიერ შესრულებული ამერიკის ჰიფი ენთის გახსნა. სათამაშო მოედანზე ცნობილი კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსმა იმყოფებოდა. დასწრე საზოგადოებამ და მოთამაშებმა ამერიკის ჰიფი ენთთან ერთად შეასრულეს და დასასრულს მქუხარე აპლოდისმენტებიც არ დაიშურეს.

გიორგი მასხალია ბრიუსელში ჩვენებას გაბართავს

დიზაინერი გიორგი მასხალია საქართველოდან ბრიუსელში წავიდა. იქ მისი ახალი კოლექციის ჩვენებასაც მოაწყობს: - ბევრი ფიქრობთ ალბათ, ოპ, მასხუ წავიდა და გვეშველა, გზა გაგვეხსნა პროექტებზე. არ დაგავინყდეთ, რომ ლივინიები, რაც კი საქართველოში წარმატებული პროექტებია, ჩემს დაქვემდებარებაშია და ეს თქვენი ბაბილია პროექტები რაც არ უნდა ატაროთ, მაინც საბავშვო ბაღად მიმანია, მოხარული ვიქნები და მივესალმები მხოლოდ იმ პროექტებს, ვინც აკეთებს კარგად და ნორმალურად, წელი რომ აკეთებ და მაინც წინ ვერ მიდისარ, შენელებული ვაგონივით ხართ, ეს ცოტა ძალიან მძაგს. ძალიან მალე დიდი შოუ, გრანდიოზული პერსონალური ჩვენება გაიმართება ჩემი ბრიუსელში, ქვეყანას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი მიზანია და მონდომება. ჩემ ყველაზე დიდ პლუსად იცით რა მასხალიაა? მტერს ტაშს ვაკვრევენებ ყველა ჩემს გადადგმულ წარმატებულ ნაბიჯზე. **მოამზადა ეკა ირემაშვილი**



ჯიხსოვი 1

შეუღალა: 1. სამრეწველო რაიონი უკრაინაში; 2. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. სათხილამურო სწრაფაშვების ერთ-ერთი დისციპლინა; 5. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 6. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 7. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 8. ქართული მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 9. მე-17 საუკუნის გერმანელი ასტრონომი; 10. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 11. ყოველკვირული ქართული ჟურნალი. **თარაზულა:** 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 5. ქართველ მწერალ დესპინე გელოვანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 6. იაპონელი მოდელიერი; 7. მოსავლის ამღები კომბაინის წინა, სამკალი ნაწილი; 8. პოპულარული ირლანდიური ლუდი; 9. ნახსადგური ყირიმში; 10. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 11. იტალიელი მოდელიერი; 12. შტატი აშშ-ში; 13. საცხენოსნო შეჯიბრება; 14. ქართული მინერალური წყალი; 15. სატუსალო ძველ თბილისში; 16. ვაჭრობის ღვატა რაზაულ მითოლოგიაში; 17. სამხედრო ფორმის ქურთუკი.

| | | | | | | | | |
|----|---|----|----|----|----|----|----|----|
| | 1 | | 2 | | 3 | | | |
| 4 | | | 5 | | 6 | | | |
| 7 | | | 8 | | 9 | 10 | 11 | |
| | | | | | 12 | | | |
| | | 13 | | 14 | | | | 16 |
| 17 | | 18 | | 19 | | | | |
| | | | 20 | | | | | |
| | | | | | | | 21 | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| 22 | | | | | | 23 | | |

შეადგინა თ.გოგინაშვილი